შპს ვოლი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....4

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 6

ბალანსის შემდგომი მოვლენები 21

შპს ვოლი

დირექტორი

----------2022 წელი

შპს ვოლი

მთ. ბუღალტერი

----------2022 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: შპს ვოლი

აქტივები				
	შენიშვნა	**2021**	**2020**	**2019**
ფულადი სახსრები	4	733,390	1,094,024	1,001,608
სავაჭრო მოთხოვნები		6,343,825	2,087,560	1,576,267
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5	1,596,301	732,809	191,687
მარაგი		**859,367**	**1,978,562**	**1,814,461**
-მზა პროდუქცია		845,913	1,951,080	1,814,461
-სხვა		13,454	27,482	
საინვესტიციო ქონება	6			295,420
სხვა მიმდინარე აქტივები		47,880	181,253	72,077
ძირითადი საშუალებები	7	293,108	**297,328**	**297,713**
-სხვა ძირითადი საშუალებები		288,871	294,248	294,633
-არამატერიალური აქტივები		4,237	3,080	3,080
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8		1,440,965	391,501
სულ აქტივები		**9,873,871**	**7,812,501**	**5,640,734**

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
ვალდებულებები	**შენიშვნა**	**2021**	**2020**	**2019**
ფინანსური იჯარის ვალდებულება			20,483	44,863
სავაჭრო ვალდებულებები		1,533,218	265,355	97,854
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები		89,219	282	10,213
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1,303,574	1,668,244	1,894
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	7,638,360	6,341,721	6,531,845
სხვა ვალდებულებები		52	3,690	
სულ ვალდებულებები		**10,564,423**	**8,299,775**	**6,686,669**
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(690,552)	(487,274)	(1,045,935)
სულ კაპიტალი		**(690,552)**	**(487,274)**	**(1,045,935)**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**9,873,871**	**7,812,501**	**5,640,734**

შპს ვოლი

დირექტორი

----------2022 წელი

შპს ვოლი

მთ. ბუღალტერი

----------2022 წელი

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარი)

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

		2021	2020	2019
ნეტო ამონაგები		**12,061,727**	**6,407,643**	**4,039,877**
- საქონლის გაყიდვიდან		12,058,560	6,402,834	4,039,877
- მომსახურების გაწევიდან		3,167	4,809	
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება		**(10,343,597)**	**(5,518,616)**	**(3,660,422)**
საერთო მოგება		**1,718,130**	**889,207**	**379,455**

სხვა შემოსავალი			597,942	82,828
დასაქმებულთა ანაზღაურება		(927,998)	(534,418)	(837,551)
ცვეთა/ამორტიზაცია		(72,230)	(51,625)	(20,323)
საპროცენტო შემოსავალი		209,235	147,061	34,595
საპროცენტო ხარჯი		(143,507)	(48,074)	(40,064)
იჯარის ხარჯი		(201,522)	(114,505)	(65,834)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(551,991)	(325,899)	(399,754)
სულ საოპერაციო ხარჯი		**(1,688,013)**	**(329,518)**	**(1,246,103)**
სულ საოპერაციო მოგება		**30,117**	**559,509**	**(866,648)**
გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება		(106,199)		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(131,894)		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	10	15,314	-848	249,633

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		**(192,662)**	**558,661**	**(617,015)**
მოგება/ზარალი		**(192,662)**	**558,661**	**(617,015)**

სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი):

სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), სულ				**-**
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(192,662)**	**558,661**	**(617,015)**

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოსის საწყისი ნაშთი)		**(487,274)**	(1,045,935)	(428,920)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		**(10,616)**		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**(690,552)**	**(487,274)**	**(1,045,935)**

შპს ვოლი

ოპერაციული

შპს ვოლი

----------2022 წელი ----------2022 წელი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	**(192,662)**	**558,661**	**(617,015)**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	72,230	51,625	20,323
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**(120,432)**	**610,286**	**(596,692)**
კლება/ზრდა:			
ცვლილებები მარაგში	1,065,090	151,324	2,030,331
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(4,055,813)	(536,594)	(742,608)
ფინანსური იჯარა	(18,752)	24,380	(6,135)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,337,952	265,354	29,087
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		(33,533)	
საგადასახადო ვალდებულება	85,612	13,311	4,839
სხვა ვალდებულებები		1,523	(2,915)
მიმდინარე აქტივები		(18,439)	(71,166)
გრძელვადიანი აქტივები			(391,501)
ავანსები	260,044	(448,484)	(191,687)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(1,325,867)**	**(581,158)**	**61,553**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	(67,791)	(160,000)	(372,549)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(67,791)**	**(160,000)**	**(372,549)**
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	929,896	1,256,512	915,166
გაცემული სესხები	228,004	(518,120)	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**1,157,900**	**738,392**	**951,166**
ვალუტის ცვლილების გავლენა	(124,876)	95,182	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(360,634)	92,416	640,170
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,094,024	1,001,608	361,438
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	733,390	1,094,024	1,001,608

შპს ვოლი

დირექტორი

----------2022 წელი

შპს ვოლი

მთ. ბუღალტერი

----------2022 წელი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ვოლი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ და მოქმედ იურიდიულ პირს, რომელიც დაარსდა 2017 წლის 1 თებერვალს, საიდენტიფიკაციო კოდი 406199652. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, დიდი ლილო, ს. წინუბანი.

- სოფიო მაკარაშვილი (პ/ნ 01019038869) - 100%

კომპანიის დირექტორი სოფიო მაკარაშვილი პ/ნ 01019038869.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პესტიციდების, მინერალური სასუქებისა და ბოსტნეულის სათესლე მასალის იმპორტი და დისტრიბუციას საქართველოში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) და დანერგვის ფარგლებში.

საწყისი ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულ იქნას კომპანიის მიერ მსს ფასსის მიხედვით მომზადებული პირველი სრული ფინანსური ანგარიშგებისათვის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიერ მსს ფასს-ის დანერგვის თარიღს

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს სრულ ფინანსურ ანგარიშგებას მომწადებულს მაა ფასს-ის მიხედვით, რადგან ინ მოიცავს შესადარის ფინანსურ ინფორმაციას და წარმოადგენს სამართლიანად კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას მსს ფასს-ის მიხედვით.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია 1(ერთი) ლარის სიზუსტით. უცხოურ ვალუტაში გამოსახურლი ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	3,0976	3,2766

ამჟამად, ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინება, ან მისი შემოდინების ალბათობა მაღალია. კომპანია ასახავს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს. შემოსვლის აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების შემდეგი კრიტერიუმები.

შპს ვოლი

დირექტორი

----------2022 წელი

VOLLY

შპს ვოლი

მთ. ბუღალტერი

----------2022 წელი

<u>საქონლის რეალიზაცია</u>

საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და სარგებლის გადაცემა ხდება მყიდველზე, ჩვეულებრივ, საქონლის ჩაბარებისთანავე და არსებობს კლიენტის მიმართ მოთხოვნის უფლება. საქონლის რეალიზაციით მიღებიული შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობის და მოცულობის ფასდაკლების გამოკლებით.

<u>საპროცენტო შემოსავალი</u>

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

გადასახადები

<u>მიმდინარე მოგების გადასახადი</u>

საქართველოს საგადასახადოკანონმდებლობის თანახმად საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიზ არიან ფიზიკური პირები ან საქართველოში მყოფი არარეზიდენტი პირები, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/95 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრუვად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევაში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებებიდან გამოქვითვები, რომელიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგ. არასაბაზრო ფასით აღრიცხული გარიგება, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯი, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

<u>დამატებითი ღირებულების გადასახადი</u>

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დღგ-ს აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს მათი მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან გადაწყვეტილია მისი ყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში;
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების გადასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ;

სხვა ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

<u>ფინანსური ინსტრუმენტები - თავდპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება</u>

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

<u>ფინანსური აქტივები</u>

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება:

მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები ჰეჯირებისთვის საჭიროების შემთხვევაში. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგება ან ზარალში, რომელსაც ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები. ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დასმკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ან იმ თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივების შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

<u>შემდგომი შეფასება</u>

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ შემდგომ კლასიფიკაციაზე:

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კორექტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხებისა და მისაღები ანგარიშების შეფასება ხდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება, როგორც ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

<u>აღიარების შეწყვეტა</u>

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევაში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო, მაგრამ აიღო მესამე პირებისთვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი;
- ან კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია აღიარებს აქტივთან დაკავშირებულ ვალდებულებას. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობის საფუძველზე. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლებელია.

<u>ფინანსური აქტივების გაუფასურება</u>

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. გაუფასურებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა („ზარალის დადგომის შემთხვევა“) გავლენას ახდენს ფინანსური აქტივებიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ დებიტორები განიცდიან მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევენ სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა ან ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონე/სი ან ეკონომიკურ პირობებში, რომელსაც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობა.

გაუფასურების ნებისმიერი ზარალის დადგენილი თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური ქატივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღირება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი (ასახული ფინანსური საქმიანობიდან მიღებული

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

შემოსავლის შემოსავლის სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში) კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებუსთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. სესხები, მათთან დაკავშირებული რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპეტტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევმო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენების გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გამოწვეული ხარჯების ნაწილის კრედიტში.

<u>ფინანსური ვალდებულებები</u>

თავდაპირბელი აღიარება და შეფასება

თავდაპირევლი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალშ ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სხვა კრედიტორულ დავალიანებებსა და პროცენტიან სესხს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე: თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხებსა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკბვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯის სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულებების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულებების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის პარტნიორებისთვის ფულადი დივიდენდების განაწილება

კომპანია აღიარებს ვალდებულებას, მოახდინოს ფულადი ან არაფულადი განაწილება, როდესაც განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მოგების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მტკიცდება პარტნიორთა და აქციონერთა საერთო კრემის მიერ მიღებული დადგენილებით. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ კაპიტალშ ხდება.

არაფულადი აქტივების განაწილებისას ყოველგვარი სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასებდა სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფაება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდცებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შპს ვოლი

დირექტორი

----------2022 წელი

შპს ვოლი

მთ. ბუღალტერი

----------2022 წელი

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზარი სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებაა.

გადაფასების ყოველგვარი ნამეტი მიეკუთვნება აქტივების გადაფასების რეზერვს და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კაპიტალის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე იგი ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირეულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობების სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია აქტივის გადაფასების რეზერვში. აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივების თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის აკუმულირებული ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გასხვისებისას, გაყიდულ, იჯარით გაცემულ ან ლიკვიდირებულ კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

ცვეთა გამოიტლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა ნაგებობა	5%
ოფისის აღჭურვილობა	15%
კომპიუტერული ტექნიკა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
არამატერიალური აქტივები	8%
იჯარით აღებული ძირითადი საშალების კეთილმოწყობა	15%

აქტივების ცვეთა იწყება მათი შეძენის თვიდან, ან, კომპანიის მიერ აშენებული აქტივების შემთხვევაში, აქტივების დასრულებისა და ექსპუატაციაში მიღების თვიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლობის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

სასაქონლო-მატერიალური მაგარები

სასაქონლო მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მასალები, სათადარიგო ნაწილები და სხვა მოხმარების საგნები ფასდება შესყიდვის ხარჯებით და შეიცავს ტრანსპორტირებას და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს.

ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულებით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალოებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისთვის.

ფულადი სახსრუები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

დებიტორული დავალიანება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის უიმედო ვალების რეზერვის შექმნა არ არის საჭირო და ეს შეფასება ყველაზე მეტი სიზუსტით აისახავს სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო

შპს ვოლი	შპს ვოლი
დირექტორი	მთ. ბუღალტერი
----------2022 წელი	----------2022 წელი

თანხას. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია, აისახება როგორც გრძელვადიიანი კრედიტორული დავალიანება.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, ცვლილება კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პეიროდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

შენიშვნა 4 ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2021	**31.12.2020**
ნაღდი ფული	269	9,589
ლარი საბანკო ანგარიშზე	733,121	1,084,435

შენიშვნა 5 გაცემული ავანსები

	31.12.2021	**31.12.2020**
უცხოელი მომწოდებლები (იმპორტი)	206,044	732,809

შპს ვოლი

დირექტორი

----------2022 წელი

შპს ვოლი

მთ. ბუღალტერი

----------2022 წელი

შენიშვნა 6 საინვესტიციო ქონება

	31.12.2021	31.12.2020
მიწა	0	0

შენიშვნა 7 ძირითადი საშუალებები

	31.12.2021	31.12.2020
მანქანა დანადგარები	43,265	18,844
ოფისის აღჭურვილობა	58,533	28,049
ავეჯი და სხვა ინვენტარი	43,614	31,913
სატრანსპორტო საასუალებები	337,033	337,033
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(193,573)	(121,591)
ლიცენზიები	4,266	3,080
	284,606	**297,328**

ძირითადი საშუალებები

კომპანიის მიწა და შენობა ნაგებობა მოცემულია ისტორიული ღირებულებით, კომპანია არ იყენებს გადაფასების მეთოდს, რადგან გადაფასება გამოიწვევს კომპანიისთვის დამატებით ხარჯებს.

შენიშვნა 8 სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები ორგანიზაციებზე გაცემული სესხებიდან	1,193,781	1,440,965

შპს ვოლი

დირექტორი

----------2022 წელი

შპს ვოლი

მთ. ბუღალტერი

----------2022 წელი

შენიშვნა 9 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
სესხი პარტნიორებისგან	275	39,182
სესხი კომპანიებისგან	1,303,300	6,302,539

შენიშვნა 10 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	31.12.2021	31.12.2020
არასაოპერაციო მოგება	613,938	476,512
საკურსო შემოსავალი	3,532	16,204
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6,394	5,466
არასაოპერაციო ზარალი	(712,215)	(461,269)
საკურსო ხარჯი	(37,149)	(37,761)
	(125,500)	**(848)**

შპს ვოლი

დირექტორი

----------2022 წელი

შპს ვოლი

მთ. ბუღალტერი

----------2022 წელი